ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N83
(გაერთიანებული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 კომისიასთან)

2025 წელი; 9 ოქტომბერი; 15:00 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
მარიამ გელაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე

მოწვეული პირები:

1. **ვალერი ჭიღლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;
2. **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი.
3. **კახა აბულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №54-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
6. „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ N01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N 4 (ს/კ N01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N 55 (ს/კ N01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში დაზარალებული პირების მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
7. „მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N01.10.13.015.114) და ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) არსებული უძრავი ქონებების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ხელშეკრულების გაფორმებისათვის განსაზღვრული ვადის ცვლილების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
8. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის - „თბილისი საქართველოსთვის“ რეგისტრაციის თაობაზე;**
9. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების თაობაზე.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ვალერი ჭიღლაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მ/წლის 25 სექტემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" დადგენილი წესით, **ქალაქ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნის საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.**

ვალერი ჭიღლაძემ ისაუბრა წარმოდგენილი კანდიდატურის კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტზე,** რომლის თანახმად, **თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას,** ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, **აგრეთვე განეკუთვნება, მითითებული ორგანული კანონით დადგენილი წესით, თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა.**

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ამავე ორგანული კანონის **76-ე მუხლის მე-2 პუნქტის** შესაბამისად, **თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) და მოადგილეებს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობებზე ნიშნავს თბილისის მერი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.**

მომხსენებლის მიერ აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია მიიღებს სამართლებრივ საფუძველს იმ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია **საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (შემდგ. კოდექსი) 156² მუხლი** – „პიროტექნიკური ნაწარმის

ნებართვის გარეშე რეალიზაცია“ და **156⁴ მუხლი** – „პიროტექნიკის გამოყენების წესის დარღვევა“, რომელთა დარღვევებზე კოდექსის **209³ მუხლის** მიხედვით, ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების განხილვა შესაძლებელია ადმინისტრაციული წარმოების გარეშე, ადგილზე, მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან უფლებამოსილი პირის მიერ. წარმოდგენილი ცვლილების მიზანს, პიროტექნიკური ნაწარმის არაკანონიერი გამოყენებისა და გავრცელების აკრძალვა წარმოადგენს, რომელიც ქმნის საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ხმაურის და მოქალაქეთა ჯანმრთელობის რისკებს.

ამასთან, წარმოდგენილი ცვლილების შედეგად, №28-96 დადგენილების პრემბულიდან და შესაბამისი მუხლებიდან და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55⁵ მუხლით, 77¹ მუხლით, 77² მუხლით, 82⁵ მუხლით, 135⁴, 146¹ მუხლით, 150² მუხლით, 150³ მუხლით, 151¹ მუხლით, 152³ მუხლით, 152⁵-152⁹ მუხლებით, 153⁶ მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153⁹ მუხლით, 158 ³ მუხლით, 158⁴ მუხლის, 158⁵ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესიდან (შემდგომ-წესი) ამოღებულ იქნება კოდექსის **77² და 135⁴ მუხლები.**

მომხსენებლის მიერ აღინიშნა, რომ აღნიშნული ცვლილება განაპირობა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან 77² მუხლის ამოღებამ და 135¹ მუხლით გათვალისწინებულ ფაქტებზე რეაგირების უფლებამოსილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსათვის მინიჭებამ. შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექცია აღნიშნულ უფლებამოსილებას აღარ ანხორციელებს.

სერგო ბირკაძის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით საჭირო გახდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილების მოწესრიგება და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

საკითხის მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი დაზუსტების გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტში, წესის მე-9 მუხლთან მიმართებით, გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული

რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის N54-30 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულებაში“ (შემდგომში - „მუნიციპალური ინსპექციის დებულება“) ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შემუშავება განპირობებულ იქნა საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებებით, კერძოდ, კოდექსს დაემატა მუხლი **156² – „პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტი, ექსპორტი, წარმოება ან/და რეალიზაცია ნებართვის/ლიცენზიის გარეშე“ და მუხლი 156⁴ – „პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის, შეძენის, ფლობისა და გამოყენების წესების დარღვევა“.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული მუხლები ასევე შეტანილ იქნა კოდექსის 209³ მუხლის პირველ და 2¹-მე-4 ნაწილებში, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული სამართალდარღვევების განხილვა ენიჭება მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრულ შესაბამის ორგანოს. შესაბამისად, **მუნიციპალური ინსპექციის დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებსა და ფუნქციებს ემატება პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენების/წარმოების/რეალიზაციის ნებართვის ან/და ლიცენზიის გარეშე, შეძენის, ფლობისა და გამოყენების წესების დარღვევებზე ფაქტების გამოვლენა და კონტროლი.** აღნიშნულ უფლებამოსილებებს უშუალოდ განახორციელებენ მუნიციპალური ინსპექციის ადმინიცრაციულ-სამართალდარღვევათა მონიტორინგის სამმართველოს განყოფილებები.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია პიროტექნიკური ნაწარმის უკანონო ბრუნვით, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას დედაქალაქში. შესაბამისად, **წარმოდგენილი ცვლილების მიზანია პიროტექნიკური ნაწარმის ნებართვის/ლიცენზიის გარეშე წარმოების, რეალიზაციისა და გამოყენების ფაქტებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება.**

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა დადგენილების პროექტით გათვალისწინებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებაზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 209³ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, **146¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს (კონსტრუქციების ან/და სამშენებლო მასალების დაყრა) განიხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მერიის სტრუქტურული ერთეული ან შესაბამისი უფლებამოსილი პირი/ორგანიზაცია, მუნიციპალური ინსპექციის დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ემატება კონსტრუქციების ან/და სამშენებლო მასალების დაყრის ფაქტების გამოვლენა და კონტროლი.** აღნიშნულ უფლებამოსილებას უშუალოდ განახორციელებს მუნიციპალური ინსპექციის ნარჩენების კონტროლის განყოფილება.

მომხსენებლის მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ დედაქალაქში მოჭარბებულია საზოგადოებრივ ადგილებში სამშენებლო მასალების ან კონსტრუქციების უკანონო განთავსების ფაქტები, აღნიშნული ცვლილებით მუნიციპალური ინსპექცია განახორციელებს მყისიერ საპრევენციო ღონისძიებებს ზემოხსენებულ სამართალდარღვევის ფაქტებზე.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო **დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.**

აზრი გამოთქვეს:

საკითხის მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი დაზუსტების გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, **წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულასა და „დ.ბ“ ქვეპუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ ხელშეკრულების დამტკიცებას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის N1604 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ გასაფორმებელი, ამავე განკარგულების დანართით გათვალისწინებული ტიპური ხელშეკრულება.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე, 2025 წლის 6 ოქტომბერს, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ხელი მოეწერა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, დელეგირებული უფლებამოსილების სახით, განახორციელებს:

- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივ რეაბილიტაციას;
- მათ მხარდაჭერას პოსტავტორიზაციის პროცესში, ავტორიზაციის სტანდარტებთან (ინფრასტრუქტურის ნაწილში) შესაბამისობის უზრუნველყოფის მხარდაჭერას;
- მათ დაფინანსებას მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებში ან/და ეზოში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობასა და ინვენტარით აღჭურვას;
- შენობებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობას/აღჭურვას;
- დაწესებულებების გაზიფიცირებას/საწვავის/ბრიკეტების/შეშის შესყიდვას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების თანახმად, დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი ფინანსური რესურსი გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის, მიზნობრივი ტრანსფერის გადაცემის გზით.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტების: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროისა და ადგილის მითითების, ასევე განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 7 ოქტომბრის N25.1677.1897 განკარგულების დამატებისა და განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

აგრეთვე, საკითხის მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი დაზუსტების გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახლებური რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის)**

განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებისა“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების“ დამტკიცებას.

მომხსენებლის განმარტებით, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის N1098 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ხელი მოეწერა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებას“, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, დელეგირებული უფლებამოსილების სახით, საჯარო სკოლების შენობებსა და გარე ტერიტორიაზე შესასრულებელი მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა) განხორციელებას, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სერგო ბირკაძემ თხრობა განაგრძო და აღნიშნა, რომ **„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N146 განკარგულების საფუძველზე (საქართველოს მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის N1173 განკარგულებით განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით),** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ხელი მოეწერა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებას“, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის, დელეგირებული უფლებამოსილების სახით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილების გადაცემას.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულებების თანახმად, დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი ფინანსური რესურსი გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის, მიზნობრივი ტრანსფერის გადაცემის გზით.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N146 განკარგულება და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 29 სექტემბრის N25.1631.1838 განკარგულება, ასევე გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, შეიცვალოს განკარგულების პუნქტობრივი ნუმერაცია და განკარგულების პროექტის პირველი და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს სათანადო რედაქციით.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას: **შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37, ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიების სახით კომპენსაციის გაცემის თაობაზე,** „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: N01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 (ს/კ N01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N3-ით გათვალისწინებული პირისათვის - თამაზ ახვლედიანი - 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმ სამართლებრივ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მომზადებას და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში - „კომისია“) 2025 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი N9) განიხილა მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37, ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების საკითხი.

ნინო ვარდოსანიძის განმარტებით, თბილისის პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ზემოაღნიშნული დაზარალებული პირის მიმართ დგინდება შემდეგი:

- თამაზ ახვლედიანმა 2016 წლის 20 მაისს შპს „საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ქ. თბილისში საირმის ქუჩა N 37-39-ში 100 000 აშშ დოლარად შეიძინა 138.00 კვ.მ. საცხოვრებელი ბინა და ერთი ავტოფარეხი 15 კვ.მ. **დაზარალებულად ცნობილია 100 000 აშშ დოლარის ნაწილში.**

- თამაზ ახვლედიანმა მოითხოვა თბილისის პროკურატურის მიერ დადგენილი ზიანის ფარგლებში ვალდებულების შესრულება ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, ფართის სახით - მისამართზე ქ. თბილისი, საირმის ქუჩა N 37-39 (138 კვ.მ) და ერთი ავტოსადგომი. შესაბამისად, **მისი, როგორც დაზარალებული პირის მიმართ (ფართის ან/და თანხის სახით) ვალდებულების შესრულება განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N3-ის ფარგლებში, ამავე განკარგულებით გათვალისწინებული წესებისა და პირობების შესაბამისად.**
- თამაზ ახვლედიანმა განმეორებით მიმართა კომისიას (06.10.2025) და მოითხოვა ფართის სახით (მისამართზე - ქ. თბილისი საირმის ქუჩა N37 (138 კვ.მ) და ერთი ავტოსადგომი) შესასრულებელი ვალდებულების ნაცვლად, **თბილისის პროკურატურის მიერ დადგენილი ზიანის ანაზღაურება თანხის სახით - 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.**
- ამასთან, დაინტერესებული პირი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაუბრუნდება თბილისის პროკურატურის მიერ დაზარალებულად აღიარების ცნობით განსაზღვრული თანხა - 100 000 აშშ დოლარის ოდენობით, **მის მიმართ თბილისის პროკურატურის მიერ დადასტურებული შესასრულებელი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად და არ ექნება პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორის" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.**
- თამაზ ახვლედიანი თანახმაა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების (N2/8824-22) საფუძველზე წარმოშობილი, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე - ქ. თბილისი საირმის ქუჩა N37 (138 კვ.მ) და ავტოსადგომზე მოთხოვნის უფლება დათმოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ. ამასთანავე, გამოთქვამს მზაობას, განახორციელოს მისი უფლებამოსილების ფარგლებში საკუთრების უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში გადაცემისთვის საჭირო ყველა ქმედება.
- გარდა ამისა, თამაზ ახვლედიანმა განცხადებით მიმართა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რეგისტრირებული საკუთრების უფლების გაუქმების მიზნით უძრავ ქონებაზე - ქ. თბილისი საირმის ქუჩა N37.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და **კომისიის დადებითი რეკომენდაციის** გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია, შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 მუხაძის ქ. N4 და ი. აბაშიძის ქ. N55 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და **დაზარალებული პირების მიმართ თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის, გამოყენებული იქნეს ზემოაღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიება.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი პუნქტის პრეამბულისა და მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული

რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას: მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 და შარტავას ქ. N3 ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N25.990.1105, 13.06.2025) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული (განკარგულება N240, 19.06.2025) ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის უძრავი ქონების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემისთვის განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 ივნისის N240 განკარგულების პირველი პუნქტის „ა.გ" და „ბ.ა" ქვეპუნქტებით დადგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2026 წლის 7 ოქტომბერი.**

კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმ სამართლებრივ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მომზადებას და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში - „კომისია") 2025 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი N9) განიხილა მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 და შარტავას ქ. N3 მდებარე უძრავი ქონებების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ხელშეკრულების გაფორმებისთვის განსაზღვრული ვადის ცვლილების საკითხი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 13 ივნისის N25.990.1105 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 ივნისის N240 განკარგულებებით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაევალა, ამავე განკარგულებების დანართი N1-ით, დანართი N3-ით და დანართი N4-ით გათვალისწინებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით ხელშეკრულებების გაფორმება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში.**

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, იმის გათვალისწინებით, რომ **ზემოაღნიშნულმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ვერ წარმოადგინეს გონივრულ ვადებში ხელშეკრულების გაფორმებისთვის საჭირო, კანონმდებლობით განსაზღვრული სათანადო დოკუმენტაცია (სამკვიდრო მოწმობა, მინდობილობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ა.შ), ასევე ზოგიერთი ფიზიკური პირი არ იმყოფება საქართველოში, ხოლო რამდენიმე ფიზიკური პირი გარდაცვლილია,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ ვერ უზრუნველყო დადგენილი ვადის ფარგლებში, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოაღნიშნული განკარგულებების დანართი N1-ით, დანართი N3-ით და დანართი N4-ით გათვალისწინებულ ზოგიერთ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის მიზნით ხელშეკრულებების გაფორმება.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და კომისიის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია, წინამდებარე საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 ოქტომბრის N25.1686.1915 განკარგულების სათაურის სწორად მითითებისა და განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის - „თბილისი საქართველოსთვის" რეგისტრაციის თაობაზე საკითხი.**

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, მ/წლის 25 სექტემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი წერილობითი კორესპონდენციის (N07-032526862-03) თანახმად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 164-ე მუხლისა და **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2025 წლის 25 სექტემბრის N80/2025; N81/2025 და N82/2025 განკარგულებების** შესაბამისად, ცნობილ იქნა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „გახარია საქართველოსთვის" პარტიული სიით არჩეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის **სალომე კობალაძის** (პარტიულ სიაში N3) **ადგილმონაცვლედ ამავე საარჩევნო სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი ჯონი ტორჩინავა** (პარტიულ სიაში N29);
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „გახარია საქართველოსთვის" პარტიული სიით არჩეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის **გიორგი შარაშიძის** (პარტიულ სიაში N4) **ადგილმონაცვლედ ამავე საარჩევნო სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი ნიკოლოზ ბარამაშვილი** (პარტიულ სიაში N31);

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „გახარია საქართველოსთვის“ პარტიული სიით არჩეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის **თამარ ხვედელიანის** (პარტიულ სიაში N6) **ადგილმონაცვლედ ამავე საარჩევნო სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი ზაზა მეგრელიშვილი** (პარტიულ სიაში N43).

მომხსენებლის მითითებით, ზემოხსენებული ღონისძიებების გათვალისწინებით, **მ/წლის 9 ოქტომბრიდან,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2025 წლის 25 სექტემბრის N80/2025; N81/2025 და N82/2025 განკარგულებების საფუძველზე, **დაიწყო ჯონი ტორჩინავას, ნიკოლოზ ბარამაშვილისა და ზაზა მეგრელიშვილის, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება.**

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მ/წლის 9 ოქტომბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას წარედგინა საკრებულოს წევრის **ჯონი ტორჩინავას წერილობითი კორესპონდენცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ შექმნის თაობაზე,** რომელსაც თან ერთვის ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ წესდება და ამავე ფრაქციის სადამფუძნებლო სხდომის ოქმი N1, რომლის თანახმად, **ფრაქციაში „თბილისი საქართველოსთვის“ გაერთიანდნენ საკრებულოს წევრები: ჯონი ტორჩინავა, ზაზა მეგრელიშვილი, ნიკოლოზ ბარამაშვილი.** ამასთანავე, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ მ/წლის 9 ოქტომბრის სხდომის ოქმი N1-ის თანახმად, **ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ჯონი ტორჩინავა, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ - ზაზა მეგრელიშვილი.**

ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებზე, რომლის მიხედვითაც, **ფრაქციის შექმნის მსურველი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები შეიმუშავებენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წესდებას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუსს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან.** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესები და მისი უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული **რეგლამენტით განსაზღვრული შემდეგი პროცედურული საკითხების შესახებ:**

- **35-ე მუხლის პირველი პუნქტის** თანახმად, ფრაქცია რეგისტრაციამდე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს. **ამავე მუხლის მე-2 პუნქტის** მიხედვით, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ფრაქციის ყოველ სამ წევრზე ერთი მოადგილე, მაგრამ არაუმეტეს შვიდისა.
- **ამავე მუხლის მე-3 პუნქტის** თანახმად, ფრაქციის რეგისტრაციისათვის, ფრაქციის შექმნიდან ერთი კვირის ვადაში ფრაქციის თავმჯდომარე მიმართავს საკრებულოს თავმჯდომარეს განცხადებით, რომელშიც მითითებულია ფრაქციის ოფიციალური სახელწოდება, მისი თავმჯდომარის, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) და წევრთა ვინაობა. განცხადებას ერთვის ფრაქციის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი წესდება. საკრებულოს თავმჯდომარე ფრაქციის

რეგისტრაციისათვის შემოსულ მასალებს დაუყოვნებლივ გადასცემს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, რომელიც თავის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე. თუ ბიურო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დასკვნის განხილვისას არ მიიღებს სხვა მოტივირებულ გადაწყვეტილებას, ფრაქცია რეგისტრაციაში გატარებულად ჩაითვლება საკრებულოს თავმჯდომარისათვის დოკუმენტაციის წარდგენის მომენტიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურული წესი დაცულია და საკითხი უნდა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" რეგისტრაციაში გატარებულად ჩათვლის მიზნით.

მოისმინეს:

9. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი.**

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, დღის წესრიგის მე-8 საკითხის სახით წარმოდგენილი პროცედურული ღონისძიების გათვალისწინებით, მ/წლის 9 ოქტომბერს, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარის ჯონი ტორჩინავას მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას წარედგინა წერილობითი კორესპონდენცია (N03-032528241) და მასზე თანდართული ფრაქციის სხდომის ოქმი N2, რომელთა თანახმად, აღნიშნული ფრაქციის რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრებად ფრაქციის მიერ წარმოდგენილი იქნება შემდეგი კანდიდატურები:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრად ჯონი ტორჩინავას კანდიდატურა;**
- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრად ჯონი ტორჩინავას კანდიდატურა;**
- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრად ზაზა მეგრელიშვილის კანდიდატურა;**
- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრად ზაზა მეგრელიშვილის კანდიდატურა;**
- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრად ნიკოლოზ ბარამაშვილის კანდიდატურა;**
- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრად ნიკოლოზ ბარამაშვილის კანდიდატურა.**

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად დადგენილ, ზემოაღნიშნული კორესპონდენციით წარმოდგენილი საკითხის თანმდევ, შემდეგ სამართლებრივ პროცედურულ ღონისძიებებზე:

- **საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.დ" ქვეპუნქტის** თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შექმნა; კომისიის თავმჯდომარის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება; ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და დამტკიცება, კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღება; კომისიის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა.
- **ამავე ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის** თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო.
- ხოლო, **28-ე მუხლის 2[2] პუნქტის** თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში წევრის წარდგენის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისიას (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს. იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია (მუნიციპალიტეტის საკრებულო) ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიაში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ ცნობად მიღების მომენტიდან.
- **რეგლამენტის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ2" ქვეპუნქტის** თანახმად, საკრებულოს ბიურო უფლებამოსილია ცნობად მიიღოს საკრებულოს კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილებები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაადგინეს, რომ დაცულია საკრებულოს ფრაქციის მიერ კომისიის წევრის წარდგენის წესი და წარმოდგენილი ცვლილება შეესაბამება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებულ კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია დანართის სახით წარმოადგენს, ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას, რომელიც ფრაქციის „თბილისი**

საქართველოსთვის“ რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში, ცნობის სახით უნდა მიიღოს ამავე საკრებულოს ბიურომ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ნ. ვარდოსანიძე	ნინო ვარდოსანიძე
სხდომის მდივანი	თ. ხვედელიძე	თეონა ხვედელიძე